

დროა დავბერდეთ უფლებებით

[მოაწერეთ ხელი ჩვენს პეტიციას](#), რომელიც მთავრობებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ გაეროს კონვენციის შემუშავება ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ.

„ჩვენ დრო გვეწურება“ - ამბობს ვიჯეი ნარაიდო, მავრიკის ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის DIS-MOI-ს დამფუძნებელი წევრი.

ვიჯეი ნარაიდო და ხანდაზმულ პირთა უფლებების სხვა დამცველები წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ თავად ვერ მოესწრებიან გაეროს კონვენციას ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ.

ჩვენ მოვუწოდებთ გაეროს და მის წევრ ქვეყნებს, შეუდგნენ მუშაობას და შეიმუშაონ კონვენცია ხანდაზმულ პირთა უფლებების შესახებ.

[ხელი მოაწერეთ ჩვენს პეტიციას დღეს](#).

ძვირფასო მსოფლიო ლიდერებო,

წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 75-ე წლისთავი აღინიშნება, მაგრამ ბევრი ხანდაზმული ადამიანი ვერ სარგებლობს იმ უფლებებით, რომელთა დასაცავადაც დაიწერა დეკლარაცია.

ხანდაზმული ადამიანები გვეუბნებიან, რომ ისინი განიცდიან ძალადობას, შეურაცხყოფას და უგულვებელყოფას, და უწევთ სამართლიანობისთვის ბრძოლა. მათ ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და ვერ იღებენ საჭირო დახმარებასა და ზრუნვას. მათ არ აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ ღირსეულად, რადგან ისინი ვერ სარგებლობენ ღირსეული ცხოვრების და სხვა უფლებებით.

ჩვენ წარმოვადგენთ გლობალურ ალიანსს ხანდაზმულ პირთა უფლებებისთვის, რომელიც 80-მდე ქვეყნის, ხანდაზმულ პირთა უფლებების განმტკიცებასა და ხელშეწყობაზე მომუშავე 400-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს.

ხანდაზმული პირები უხილავი არიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისთვის. ხანდაზმულ პირებს სურთ, რომ მათ ხედავდნენ, უსმენდნენ და შეეძლოთ საკუთარი უფლებების რეალიზება.

გაეროში უკვე წარმოდგენილია მრავალი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ მსოფლიოს სასწრაფოდ სჭირდება კონვენცია. ხანდაზმულ პირებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი წვდომა ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, სამუშაოზე, ფინანსურ უსაფრთხოებასა და ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე. ჩვენი ყველა უფლება უნდა იყოს დაცული.

დროა მიიღოთ ზომები და დაიწყოთ მუშაობა. **დროა ყველა ჩვენგანი დავბერდეთ უფლებებით #AgeWithRights.**